ნინი ცხოვრებაშვილი პრაქტიკული დავალება

პირველი დღე

დღეს დილით ადრე ავდექი. ქალებთან ერთად საკვების საძებნელად წავედი. ვიპოვეთ ხილი, კაცები სანადიროდ წავიდნენ. დღეს ჩვენს სოფელში დიდი სიხარული იყო. ერთ ოჯახს ბავშვი შეეძინა. ქალები მას ვეხმარებოდით და ცერემონია მოვაწყეთ. საღამოს ყველანი ცეცხლის გარშემო ვისხედით და ვიმღერეთ, რომ ახალ სიცოცხლეს ბედნიერება და ძალა მოჰქონდა. ბავშვი ყველას იმედი გახდა.

მეორე დღე

მამაკაცები ნადირობიდან დაბრუნდნენ და კურდღელი მოიყვანეს. მთელი სოფელი გამოიკვება. მე და დანარჩენი ტომის ქალები მცენარეების და ნერგების მოსაპოვებლად წავედით. ძალიან ცხელოდა, ამიტომ შუადღეს ჩრდილში ვისვენებდით. მიგრაცია აუცილებელი გახდა, რადგან ძველი ტერიტორია გამოფიტული იყო. დროის განაწილება მოვახდინეთ ისე, რომ ქალები საკვების შეგროვებაზე წავედით ხოლო კაცებმა ახალი საცხოვრებლის ადგილის მომზადება დაიწყეს. სოციალური აგენტების მიხედვით, ყველას თავისი როლი ჰქონდა. ღამით ცა ვარსკვლავებით იყო სავსე.

მესამე დღე

დღეს ტომში სევდიანი დღე გვქონდა. ხანდაზმული ქალი გარდაიცვალა. ყვველანი ცეცხლთან ვისხედით და ვიგონებდით მის ისტორიებს. ტომის უხუცესებმა ლოცვები წარმოთქვეს. მივხვდი, რომ ჩვენს ცხოვრებაში სიხარულიც არის და სევდაც, მაგრამ ტომი ყოველთვის ერთიანად რჩება.

მეოთხე დღე

დილით თაფლი ვიპოვეთ. კვამლით ფუტკრები დავაფრთხეთ და სავსე ბუდე გამოვიტანეთ. ჩვენმა უხუცესმა გვასწავლა თუ როგორ ხდება თაფლის გამოტანა. ტკბილი თაფლი ყველას ძალიან გვიყვარს. დღეს ჩვენი ჯგუფი ზეიმობდა ნადირობაში მიღწეულ წარმატებას. სოციალური მობილობა თვალსაჩინოდ გამოჩნდა: ახალგაზრდები უფროსებთან ერთად მონაწილეობდნენ ცერემონიაში. დრო და სივრცე ერთიან რიტუალში შეერწყა, სადაც ჩვენი სოციალური აგენტები-გადარჩენა, სოლიდარობა და ცოდნის გადაცემა კიდევ ერთხელ გამოკვეთილიყო. საღამოს ხანდაზმულმა კაცმა ძველი ამბები მოგვითხრო. ცეცხლის ხმას ვუსმენდით და ჩუმად ვისხედით.

მეხუთე დღე

დღეს კაცები ისევ სანადიროდ წავიდნენ, მე და სხვა ქალებმა ახალი ადგილი მოვძებნეთ საკვებისათვის. ვიპოვეთ კაკალი , რომელიც ყველაზე ნოყიერია, მზის ჩასვლისას მთელმა სოფელმა ერთად მოამზადა ნადავლი. ცეცხლთან ვიჯექით და ვიგრძენი, რომ ბუნებასთან ერთად ვცხოვრობთ ყოველი დღე სხვანაირია, მაგრამ ყველა ერთმანეთზეა დამოკიდებული. ჩვენ არ გვყავს ხელმძღვანელი.

შეჯამება

ჩემს დღიურში გამოჩნდა, რომ კუნგის ბუშმენების ყოველდღიური ცხოვრება დაკავშირებულია ბუნებასთან. ისინი საკვებს მოიპოვებენ ნადირობით, და ხილის, თესლების, ფესვების შეგროვებით. ცეცხლთან შეკრება მათთვის ერთიანობის სიმბოლოა იქ ისინი საუბრობენ, სიმღერებს მღერიან და ერთმანეთს ისტორიებს უყვებიან. მათთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საჭმლის პოვნა, არამედ

ერთმანეთის გვერდში დგომა. მათი ცხოვრება რთულია, რადგან ხშირად საკვების ძებნა დიდი ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ ამავე დროს სავსეა სიხარულითა და ერთობით.